ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი № 10

ქ. თბილისი. 21 აპრილი, 2009 წელი.

სხდომის თავმჯდომარე: მამუკა ახვლედიანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: მაკა შავიშვილი, დავით გოგიჩაიშვილი, ირაკლი მურღულია, არისი ბოჭოიძე, ნიკოლოზ ჩხაიძე, გია აბულაძე, მანუჩარ მახათაძე, დავით მახარობლიშვილი, ბერდია გველებიანი, მიხეილ ავალიანი.

მოწვეულები: თ. ვეკუა, ზ. ჩანქსელიანი, ი. გოგოლაშვილი, მ. კურცხალია, თ. ჯაჯანიძე, ჯ. შველიძე, ლ. ქობალია, მ. სამარღანიშვილი, ლ. ძიძიშვილი, ს. მგალობლიშვილი, ი. შიხაშვილი, ი. ბალავაძე, დ. მძინარიშვილი, კ. მორბედაძე, ი. კვარაცხელია, ა. ბახტაძე, ზ. მეფარიძე, ე. კობახიძე, ვ. ქობალია, გ. ქობალია, კ. გვათუა. თ ღუღუნიშვილი, თ. ურთქმელიძე, თ. კოსტავა, ი. შარაშენიძე.

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, ისან-სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში მდებარე 18525 კ.მ. მიწის ნაკვეთისთვის საქართველოს პრეზიდენტის 2007წ. 24 ნოემბრის №705 განკარგულების №1 დანართით განსაზღვრული მრავალპროფილიანი სპორტული ცენტრის მოსაწყობად განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემის შესახებ.
(მოწვეული – თ. ვეკუა).

2. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, შატილის ქ. №4-ში მდებარე 45870 კ.მ. მიწის ნაკვეთისთვის საქართველოს პრეზიდენტის 2008წ. 19 მაისის №327 განკარგულების №1 დანართით განსაზღვრული მრავალპროფილიანი სპორტული ცენტრის მოსაწყობად განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემის შესახებ.
(მოწვეული – ზ. ჩანქსელიანი).

3. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩის გაფართოებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემის შესახებ.
(მოწვეული – ი. გოლაშვილი).

4. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე, დიმიტრი თავდადებულის ქ. I და III მ/რ შორის, ყოფილი ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ 7000 კვ.მ. ნიწის ნაკვეთზე №1/34 სამედიცინო ამბოლატორიული სამკურნალო ცენტრის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ.
(მოწვეულები – მ. კურცხალია, თ. ჯაჯანიძე, ჯ. შველიძე).

5. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, მირზა შაფის ქუჩის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ.
(მოწვეულები – ლ. ქობულია, მ. სამარღანიშვილი, ლ. ძიძიშვილი, ს. მგალობლიშვილი, ი. შიხიაშვილი).

6. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, „ორთაჭალჰესიდან" მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და დოლაბაურის ქუჩებს შორის მდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ.
(მოწვეული – ი. ბალავაძე).

7. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის II და III მიკრორაიონებს შორის, XII კორპუსის მიმდებარედ ამხანაგობა „ნუცუბიძე 2007/3"-ის კუთვნილ მშენებარე სახლისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – დ. მძინარიშვილი, კ. მორბედაძე).

8. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შროშის ქ. №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.
(მოწვეული – ი. კვარაცხელია).

9. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სანდრო ეულის ქ. №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალფუნქციური შენობისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.
(მოწვეული –ი. კვარაცხელია).

10. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ქუჩაზე №№211-313 კორპუსების ჩრდილოეთით მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური ტერასული ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.
(მოწვეულები – ა. ბახტაძე, ზ. მეფარიძე).

11. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, რჩეულიშვილის ქ. №№17-19-სა და რჩეულიშვილის II ჩიხის №№2-4-ში მდებარე მიწის ნაკვეთისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.
(მოწვეული – ე. კობახიძე, ვ. ქობულია, გ. ქობულია).

12. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თერგის ქ. №14ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებარე საცხოვრებელი სახლისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.
(მოწვეული – კ. გვათუა)

13. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, „აკადემქალაქის" ტერიტორიის განვითარების პირობების შესახებ
მომხსენებელი – ი. მურღულია.

14. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, "აკადემქალაქის" ტერიტორიაზე აკურის ქ. №№27,29,33–სა და ალმასიანის ქ. №40,42,44,46–ში

არსებულ მიწის ნაკვეთებზე 25–სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ქალაქთმშე-ნებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.
(მოწვეულები – თ. ღუღუნიშვილი, თ. ურთქმელიძე).

15. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გოგებაშვილის ქ. №46ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებარე საცხოვრებელი სახლისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.
(მოწვეული – თ. კოსტავა).

16. ქ. თბილისში, გლდანი–ნაძალადევის რაიონში, "დიდი ტბისა" და მიმდებარე ტერიტორიის განვითარებისა და რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის შესაძლო ზონირების საპროექტო წინადადების შესახებ.
(მოწვეული – ი. შარაშენიძე).

მოისმინეს:

1. **თ, ვეკუას ინფორმაცია ქ. თბილისში, ისან-სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში მდებარე 18525 კ.მ. მიწის ნაკვეთისთვის საქართველოს პრეზიდენტის 2007წ. 24 ნოემბრის №705 განკარგულების №1 დანართით განსაზღვრული მრავალპროფილიანი სპორტული ცენტრის მოსაწყობად განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემის შესახებ.**
განმცხადებელი – შპს "სასკოს" გენერალური დირექტორი გ. სიჭინავა.
საორიენტაციო ზონის სახეობა – რზ-2 და სზ-6.

- **სამსახურის პოზიცია:** წარმოდგენილი მასალის მიხედვით გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნულ №1 დანართში განსაზღვრული პირობები. მოცემული ტერიტორია შესაძლებელია განვითარდეს სზ-6-ითა და რზ-2-ით, თუმცა რზ-2-ში კ2 კოეფიციენტი არ უნდა აჭარბებდეს 1.0-ს.

აზრი გამოთქვეს:
- მაკა შავიშვილმა: მისაღებია.
- დავით გოგიჩაიშვილმა: მისაღებია.
- ირაკლი მურღულიამ: მისაღებია.
- არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: მისაღებია. სამსახურის პოზიცია მისაღებია.
- გია აბულაძემ: მისაღებია სამსახურის პოზიცია.
- მანუჩარ მახათაძემ: მისაღებია. სამსახურის პოზიციის მიხედვით, შესაძლებელია მიცემული ტერიტორიის განვითარება.
- დავით მახარობლიშვილმა: მისაღებია სამსახურის პოზიციის გათვალისწიმებით.
- მიხეილ ავალიანმა: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია სამსახურის პოზიცია

დასკვნა: მიეცეს თამხმობა ქ. თბილისში, ისან-სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში მდებარე 18525 კ.მ. მიწის ნაკვეთისთვის საქართველოს პრეზიდენტის 2007წ. 24 ნოემბრის №705 განკარგულების №1 დანართით განსაზღვრული მრავალპროფილიანი სპორტული ცენტრის მოსაწყობად განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემაზე, სამსახურის პოზიციის გათვალისწიმებით.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

2. ზ. ჩანქსლიანის ინფორმაცია ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, შატილის ქ. №4-ში მდებარე 45870 კ.მ. მიწის ნაკვეთისთვის საქართველოს პრეზიდენტის 2008წ. 19 მაისის №327 განკარგულების №1 დანართით განსაზღვრული მრავალპროფილიანი სპორტული ცენტრის მოსაწყობად განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – შპს „დუჩის“ დირექტორი ზ. ჩანქსელიანი.

საორიენტაციო ზონის სახეობა – რზ-2 და სზ-6.

- <u>სამსახურის პოზიცია:</u> წარმოდგენილი მასალის მიხედვით გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნულ №1 დანართში განსაზღვრული პირობები. მოცემული ტერიტორია შესაძლებელია განვითარდეს სზ-6-ითა და რზ-2-ით, თუმცა რზ-2-ში კ2 კოეფიციენტი არ უნდა აჭარბებდეს 1.0-ს. აგრეთვე, პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მიმდებარე გზების მოწყობა-გაფართოებას.

აზრი გამოთქვეს:

- მაკა შავიშვილმა: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- დავით გოგიჩაიშვილმა: მისაღებია.
- ირაკლი მურღულიამ: მისაღებია.
- არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: სამსახურის პოზიცია მისაღებია, რაც უნდა აისახოს აგდ–ში.
- გია აბულაძემ: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- მანუჩარ მახათაძემ: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- დავით მახარობლიშვილმა: მისაღებია სამსახურის პოზიციის გათვლაისწინებით.
- ბერდია გველებიანმა: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- მიხეილ ავალიანმა: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია სამსახურის პოზიცია

დასკვნა: მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, შატილის ქ. №4-ში მდებარე 45870 კ.მ. მიწის ნაკვეთისთვის საქართველოს პრეზიდენტის 2008წ. 19 მაისის №327 განკარგულების №1 დანართით განსაზღვრული მრავალპროფილიანი სპორტული ცენტრის მოსაწყობად განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემაზე, სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

3. ი. გოლაშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩის გაფართოებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მეცნიერება-2005“-ის თავჯდომარე ბ. ცერცვაძე.

საორიენტაციო ზონის სახეობა –

- <u>სამსახურის პოზიცია:</u> წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით შესაძლებელია გრგ-ს დავალების გაცემა, თუმცა

სასურველია ლიხაურის ქუჩის კიდევ უფრო გაფართოება და წითელი ხაზების კორექტირება.

აზრი გამოთქვეს:

- მაკა შავიშვილმა: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- დავით გოგიჩაიშვილმა: მისაღებია.
- ირაკლი მურღულიამ: მისაღებია.
- არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: სამსახურის პოზიცია მისაღებია, რაც უნდა აისახოს აგდ–ში.
- გია აბულაძემ: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- მანუჩარ მახათაძემ: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- დავით მახარობლიშვილმა: მისაღებია სამსახურის პოზიციის გათვლაისწინებით.
- ბერდია გველებიანმა: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- მიხეილ ავალიანმა: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია სამსახურის პოზიცია

დასკვნა: მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩის გაფართოებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დავალების გაცემაზე, სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

4. მ. კურცხალიას ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე, დიმიტრი თავდადებულის ქ. I და III მ/რ შორის, ყოფილი ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ 7000 კვ.მ. ნიწის ნაკვეთზე №1/34 სამედიცინო ამბოლატორიული სამკურნალო ცენტრის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ.

განმცხადებელი – მოქ. დ. ბურდული.

ქალაქთმშენებლობითი პირობების თანახმად გაცემული პარამეტრები – კ1=0.5, კ2=1.8-დან –2.2-მდე.

გრგ-ს პროექტში გამოყენებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები – კ1=0.24, კ2=1.2, კ3=0.26

- <u>სამსახურის პოზიცია:</u> წარმოდგენილ განაშენიანების რეგულირების გეგმას სამსახური აძლევს დადებით შეფასებას.

აზრი გამოთქვეს:

- მაკა შავიშვილმა: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- დავით გოგიჩაიშვილმა: მისაღებია.
- ირაკლი მურღულიამ: მისაღებია.
- არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: მისაღებია.
- გია აბულაძემ: მისაღებია.
- მანუჩარ მახათაძემ: მისაღებია სამსახურის პოზიცია.
- დავით მახარობლიშვილმა: მისაღებია.
- ბერდია გველებიანმა: მისაღებია სამსახურის პოზიცია
- მიხეილ ავალიანმა: მისაღებია.
- მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია.

დასკვნა: შეთანხმებულ იქნეს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე, დიმიტრი თავდადებულის ქ. I და III მ/რ შორის,

ყოფილი ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ 7000 კვ.მ. ნიწის ნაკვეთზე №1/34 სამედიცინო ამბოლატორიული სამკურნალო ცენტრის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმა.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

5. ლ. ქობალიას ინფორმაცია ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, მირზა შაფის ქუჩის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ.

განმცხადებელი – შპს "აპოლო გ.ს"-ს დირექტორი შ. ევგენიძე.

ქალაქთმშენებლობითი პირობების თანახმად რეკომენდირებული ზონის სახეობები – სზ-2, სსზ-1 და სსზ-2. სამშენებლო განვითარების პარამეტრები სსზ-1-ის მიხედვით კ1=0.6, კ2 უნდა განისაზღვროს უბნის მასშტაბის შესაბამისი სართულიანობის (2, 3, 4 სართული) სივრცით-გეგმარებითი გადაწყვეტით, კ3=0.1.

გრგ-ს პროექტში გამოყენებული ზონის სახეობა პარამეტრებით – სსზ-2, კ1=0.38, კ2=1.32, კ3=0.23.

➢ <u>სამსახურის პოზიცია:</u> იხ. დანართი.

აზრი გამოთქვეს:

- მაკა შავიშვილმა: საკითხის სირთულიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს მისი განხილვა სპეციალისტთა ფართო წრის მიერ, რასაც ინვესტორიც მოითხოვს. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება სამსახურის მიერ დამტკიცდეს გრგ–ს პროექტი.
- დავით გოგიჩაიშვილმა: აუცილებელია საჯარო განხილვა.
- ირაკლი მურღულიამ: განმეორებით იქნეს განხილული.
- არისი ბოჭოიძემ: განმეორებით იქნეს განხილული.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: განმეორებით იქნეს განხილული.
- გია აბულაძემ: განმეორებით იქნეს განხილული.
- მანუჩარ მახათაძემ: განმეორებით იქნეს განხილული.
- დავით მახარობლიშვილმა: განმეორებით იქნეს განხილული.

ქალაქისათვის აღნიშნული ადგილის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველია საკითხი განვიხილოთ გაფართოებულ საბჭოზე.

- ბერდია გველებიანმა: განმეორებით იქნეს განხილული
- მიხეილ ავალიანმა: განმეორებით იქნეს განხილული
- მამუკა ახვლედიანმა: განმეორებით იქნეს განხილული

დასკვნა: უარი ეთქვას ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, მირზა შაფის ქუჩის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებაზე.

საკითხი განმეორებით იქნეს განხილული კომისიის ხხდომაზე გამოთქმული შენიშვნების, არქიტექტურის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით, სპეციალისტების მიერ საკითხის საფუძვლიანი განხილვისა და მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილების შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

6. ი. ბალავაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, „ორთაჭალჰესიდან" მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და დოლაბაურის ქუჩებს შორის მდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ.

განმცხადებელი – შპს „სტუდია არსის" დირექტორი მ. თავხელიძე.

გრგ-ს პროექტში გამოყენებული ზონის სახეობები – სზ-6, სსზ-2, ლსზ, ტრ-2. მთელი საპროექტო ტერიტორიისათვის საშუალო კ1=0.45, ხოლო კ2=2.8.

- **<u>სამსახურის პოზიცია:</u>** მოცემული ტერიტორიის განვითარება შესაძლებელია წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით, თუმცა აუცილებელია უკვე მშენებარე და ნებართვაგაცემული ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმაში ასახვა. აგრეთვე ჩამოსაყალიბებელია მიწის ნაკვეთების გადანაწილების პრინციპი და მოსაგვარებელია იურიდიული საკითხები.

აზრი გამოთქვეს:

• მაკა შავიშვილმა: მისაღებია. შესაძლებელია გაიცეს ადმინისტრაციული დაპირება, სანამ მოწესრიგდება სამსახურის პოზიციით აღნიშნული საკითხები.

• ირაკლი მურღულიამ: მისაღებია.

• არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.

• ნიკოლოზ ჩხაიძემ: მისაღებია. ასევე გასათვალისწინებელია სამსახურის პოზიციაც.

• მანუჩარ მახათაძემ: მისაღებია. კონკურსის მიხედვით რაც იყო მიღებული, ჩაითვალოს მისაღებად როგორც სქემატური განვითარების ჩარჩო–გეგმა.

• დავით მახარობლიშვილმა: მისაღებია სამსახურის პოზიციის გათვალისწიმებით. სასურველია წარმოდგენილი მასალა გათვალისწინებულ იქნეს ქალაქის გენერალურ გეგმაში.

• ბერდია გველებიანმა: მისაღებია.

• მიხეილ ავალიანმა: მისაღებია. წარმოსადგენია გრგ–ს მართვის სქემა.

• მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია.

დასკვნა: შეთანხმებულ იქნეს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, „ორთაჭალაჰესიდან" მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და დოლაბაურის ქუჩებს შორის მდებარე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

წარმოდგენილი გრგ შეთანხმდეს დადგენილი წესით – გრგ-ს პროექტში გამოყენებული ზონის სახეობები – სზ-6, სსზ-2, ლსზ, ტრ-2. მთელი საპროექტო ტერიტორიისათვის საშუალო კ1=0.45, ხოლო კ2=2.8.

კენჭისყრის შედეგი: დასკბნა მიღებულია ერთხმად.

7. დ. მძინარიშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის II და III მიკრორაიონებს შორის, XII კორპუსის მიმდებარედ ამხანაგობა „ნუცუბიძე 2007/3"-ის კუთვნილ მშენებარე სახლისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ამხანაგობა „ნუცუბიძე 2007/3"-ის თავჯდომარე დ. მძინარიშვილი.

არსებული პარამეტრები – კ1=0.5, კ2=3.0.

მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0.5, კ2=3.18.

- **<u>სამსახურის პოზიცია:</u>** სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია კ2 კოეფიციენტის 0.18-ით მომატება.

აზრი გამოთქვეს:

• მაკა შავიშვილმა: მისაღებია.

• დავით გოგიჩაიშვილმა: მისაღებია.

• არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.

• ნიკოლოზ ჩხაიძემ: მისაღებია.

• გია აბულაძემ: მისაღებია.

• მანუჩარ მახათაძემ: მისაღებია.

- დავით მახარობლიშვილმა: მისაღებია.
- ბერდია გველებიანმა: მისაღებია.
- მიხეილ ავალიანმა: მისაღებია.
- მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია.

დასკვნა: მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის II და III მიკრორაიონებს შორის, XII კორპუსის მიმდებარედ ამხანაგობა „ნუცუბიძე 2007/3“-ის კუთვნილ მშენებარე სახლისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

აღნიშნული ობიექტის ასაშენებლად განაშენიანების ინტენსიურობის კოეფიციენტები განისაზღვროს: კ1=0.5, კ2=3.18.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის მე–5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განხაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების მოთხოვნები.

8. ი. კვარაცხელიას ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შროშის ქ. №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ამხანაგობა „იმედის“ თავჯდომარე ე. მაჩაიძე.

არსებული პარამეტრები – კ1=0.5, კ2=2.2.

მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0.5, კ2=3.5.

- **<u>სამსახურის პოზიცია:</u>** გამომდინარე იქედან, რომ არ ხდება მოცულობის ზრდა, პოზიცია შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგი ფორმულირებით: ვაკეში სიმჭიდროვის ზრდა არ არის მიზანშეწონილი.

აზრი გამოთქვეს:

- მაკა შავიშვილმა: არ არის მისაღები.
- დავით გოგიჩაიშვილმა: მისაღებია. მოცულობის უცვლელად მიზანშეწონილია.
- ირაკლი მურღულიამ: განმეორებით იქნეს განხილული.
- არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: მისაღებია სიმაღლის შეცვლის გარეშე.
- გია აბულაძემ: მისაღებია წარმოდგენილი წონადადება.
- მანუჩარ მახათაძემ: არ არის მისაღები.
- დავით მახარობლიშვილმა: მისაღებია.
- ბერდია გველებიანმა: მისაღებია.
- მიხეილ ავალიანმა: მისაღებია მოცულობის უცვლელად.
- მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია სიმაღლის უცვლელად.

დასკვნა: მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შროშის ქ. №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე, კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

აღნიშნული ობიექტის ასაშენებლად განაშენიანების ინტენსიურობის კოეფიციენტები განისაზღვროს: კ1=0.5, კ2=3.5.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: –8,

წინააღმდეგი: –3 (მ. შავიშვილი, მ. მახათაძე – არ არის მისაღები, ი. მურღულია –განმეროებით იქნეს განხილული).

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განხაზაღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების მოთხოვნები.

9. ი. კვარაცხელიას ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სანდრო ეულის ქ. №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალფუნქციური შენობისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ამხანაგობა „ქვეში-2008"-ს თავჯდომარე ი. კიკნაძე/

არსებული პარამეტრები – კ1=0.8, კ2=4.0.

მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0.8, კ2=6.0.

- **<u>სამსახურის პოზიცია:</u>** სამეზობლო მიჯნის პრობლემის გადაწყვეტის შემთხვევაში, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია კ2 კოეფიციენტის გაზრდა. გაურკვეველია საავტომობილო მისასვლელის საკითხი.

აზრი გამოთქვეს:

- მაკა შავიშვილმა: მისაღებია. გამოყენებულ უნდა იქნეს მაღალი ხარისხის სამშენებლო მასალა.
- დავით გოგიჩაიშვილმა: მისაღებია. ფასადების კარგად მოპირკეთების შემთხვევაში მისაღებია. კარგი იქნებოდა ფასადებზე კერემოგრანიცის ფილების გამოყენება.
- ირაკლი მურღულიამ: მისაღებია.
- არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: მისაღებია. მანქანების გასასვლელის საკითხი არის მოსაგვარებელი.
- გია აბულაძემ: მისაღებია. გასათვალისწინებელია სამსახურის პოზიცია.
- მანუჩარ მახათაძემ: მისაღებია.
- დავით მახარობლიშვილმა: მისაღებია.
- ბერდია გველებიანმა: მისაღებია სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით.
- მიხეილ ავალიანმა: მისაღებია. პროექტის შეთანხმების პროცესში დადგინდეს მისასვლელი გზა.
- მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია.

დასკვნა: მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სანდრო ეულის ქ. №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალფუნქციური შენობისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე, კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

აღნიშნული ობიექტის ასაშენებლად განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტები განისაზღვროს: კ1=0.8, კ2=6.0.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და

„ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განხაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების მოთხოვნები.

10. ა. ბახტაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ქუჩაზე №№211-313 კორპუსების ჩრდილოეთით მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური ტერასული ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „შატილიონი."

არსებული პარამეტრები – კ1=0.5, კ2=2.2.

მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0.5, კ2=3.0.

- <u>სამსახურის პოზიცია:</u> ლანდშაფტისა და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, სამსახურს შეუძლებლად მიაჩნია მოცემული ტერიტორიისთვის კ2 კოეფიციენტის მომატება. თავდაპირველად აღნიშნული ტერიტორია გასხვისებული იყო ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, ამჟამად მისთვის მინიჭებული კ2=2.2 არის მაქსიმალური ზღვარი. ამასთანავე, სამსახურში შემოსულია მეზობლების საჩივარი მოცემულ ობიექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

- მაკა შავიშვილმა: არ არის მისაღები.
- დავით გოგიჩაიშვილმა: არ არის მისაღები.
- ირაკლი მურღულიამ: არ არის მისაღები.
- არისი ბოჭოიძემ: არ არის მისაღები.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: არ არის მისაღები. სამსახურის პოზიცია მისაღებია.
- გია აბულაძემ: არ არის მისაღები. კოეფიციენტების ზრდა ხარჯების გამართლებისათვის მიუღებელია.
- მანუჩარ მახათაძემ: არ არის მისაღები.
- დავით მახარობლიშვილმა: არ არის მისაღები. ვეთანხმები სამსახურის პოზიციას.
- ბერდია გველებიანმა: არ არის მისაღები.
- მიხეილ ავალიანმა: არ არის მისაღები.
- მამუკა ახვლედიანმა: არ არის მისაღები.

დასკვნა: უარი ეთქვას ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ქუჩაზე №№211-313 კორპუსების ჩრდილოეთით მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური ტერასული ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

კენჭისყრის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

11. ე. კობახიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, რჩეულიშვილის ქ. №№17-19-სა და რჩეულიშვილის II ჩიხის №№2-4-ში მდებარე მიწის ნაკვეთისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი –მოქ. თ. ბებიაშვილი, ო. პოპლოვსკი, ს. დვოიანი, ნ. შეწირული და ნ. ლიპარტელიანი.

არსებული პარამეტრები – კ1=0.5, კ2=2.7.

მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0.5, კ2=3.2.

- <u>სამსახურის პოზიცია:</u> წარმოდგენილი მასალა არ იძლევა განსჯის საშუალებას.

აზრი გამოთქვეს:

- მაკა შავიშვილმა: განმეორებით იქნეს განხილული. მოცულობის ჩამატება არ მიმაჩნია შესაძლებლად, არქიტექტურულ–მხატვრული სახე დასამუშავებელი იქნება.
- დავით გოგიჩაიშვილმა: მისაღებია.
- ირაკლი მურღულიამ: განმეორებით იქნეს განხილული.
- არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: მისაღებია.
- გია აბულაძემ: მისაღებია. საჭიროა ცოტა უფრო „დამშვიდება" ფასადების.
- მანუჩარ მახათაძემ: არ არის მისაღები.
- დავით მახარობლიშვილმა: მისაღებია.
- ბერდია გველებიანმა: მისაღებია კ2–ის გაზრდა, დასახვეწია არქიტექტურული მხარე.
- მიხეილ ავალიანმა: მისაღებია. არქიტექტურა დასახვეწია.
- მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია.

დასკვნა: მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, რჩეულიშვილის ქ. №№17-19-სა და რჩეულიშვილის II ჩიხის №№2-4-ში მდებარე მიწის ნაკვეთისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

აღნიშნული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტები განისაზღვროს: კ1=0.5, კ2=3.2.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: – 8,

წინააღმდეგი: –3 (მ. შავიშვილი, ი. მურღულია – განმეორებით იქნეს განხილული, მ. მახათაძე – არ არის მისაღები).

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განხაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების მოთხოვნები.

12. კ. გვათუას ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თერგის ქ. №14ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებარე საცხოვრებელი სახლისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ამხანაგობა „თერგი 14ა"-ს თავჯდომარე კ. გვათუა.
არსებული პარამეტრები – კ1=0.5, კ2=1.8.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0.5, კ2=2.1.

- **<u>სამსახურის პოზიცია:</u>** სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია მოცემული ობიექტისთვის კ2 კოეფიციენტის მომატება.

აზრი გამოთქვეს:

- მაკა შავიშვილმა: მისაღებია.
- დავით გოგიჩაიშვილმა: მისაღებია.
- ირაკლი მურღულიამ: მისაღებია.
- არისი ბოჭოიძემ: მისაღებია.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: არ არის მისაღები.

- მანუჩარ მახათაძემ: მისაღებია.
- დავით მახარობლიშვილმა: მისაღებია.
- ბერდია გველებიანმა: მისაღებია.
- მიხეილ ავალიანმა: მისაღებია.
- მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია.

დასკვნა: მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, თერგის ქ. №14ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებარე საცხოვრებელი სახლისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

აღნიშნული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტები განისაზღვროს: კ1=0.5, კ2=2.1.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: – 9,
წინააღმდეგი: –1 (ნ. ჩხაიძე– არ არის მისაღები).

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განხაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების მოთხოვნები.

13. ი. მურღულიას ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, „აკადემქალაქის" ტერიტორიის განვითარების პირობების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

- ირაკლი მურღულიამ: განმეროებით იქნეს განხილული.
- არისი ბოჭოიძემ: განმეროებით იქნეს განხილული.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: მისაღებია.
- მანუჩარ მახათაძემ: მისაღებია. მხოლოდ დასამუშაებელი იქნება იურიდიული სქემა როგორ მოხდება დარჩენილი ბარაკული ტიპის საცხოვრებელ სახლებთან შეთანხმება ამ კონკრეტული სქემის მიხედვით.
- დავით მახარობლიშვილმა: შემოთავაზებული ქალაქგეგმარებითი სქემა მისაღებია. საკმაოდ რთული და დასამუშავებელია იურიდილი საკითხი მიწებისა და საკადასტრო ერთეულების გადანაწილებასთან დაკავშისრებით.
- ბერდია გველებიანმა: მისაღებია.
- მიხეილ ავალიანმა: მისაღებია.
- მამუკა ახვლედიანმა: მისაღებია. თუმცა არარეალურად მეჩვენება მისი განხორციელება.

დასკვნა: მოწონებულ იქნეს ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, „აკადემქალაქის" ტერიტორიის განვითარების პირობების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: –6,
წინააღმდეგი: –2 (ი. მურღულია, ა. ბოჭოიძე – განმეორებით იქნეს განხილული).

14. თ. ღურუნიშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, "აკადემქალაქის" ტერიტორიაზე აკურის ქ. №№27,29,33–სა და ალმასიანის ქ №№40,42,44,46–ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე 25–სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – შპს "ნუნიგი 1"-ის დირექტორი ო. იმერლიშვილ
მოთხოვნილი პარამეტრები – 25 სართული.

- <u>სამსახურის პოზიცია:</u> განხილულ იქნეს არქიტექტურის სამსახურის წინადადებასთან ერთად.

აზრი გამოთქვეს:

- დავით გოგიჩაიშვილმა: მისაღებია.
- ირაკლი მურღულიამ: საერთო პოზიციის ჩამოყალიბებამდე არ არის რეკომენდირებული საკითხის განხილვა.
- არისი ბოჭოიძემ: განმეორებით იქნეს განხილული.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: არ არის მისაღები.
- ბერდია გველებიანმა: განმეორებით იქნეს განხილული.
- მიხეილ ავალიანმა: განმეორებით იქნეს განხილული.
- მამუკა ახვლედიანმა: განმეორებით იქნეს განხილული. სამსახურის პოზიციის ჩამოყალიბების შემდეგ.

დასკვნა: უარი ეთქვას ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, "აკადემქალაქის" ტერიტორიაზე აკურის ქ. №№27,29,33–სა და ალმასიანის ქ. №№40,42,44,46–ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე 25–სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

საკითხი განმეორებით იქნეს განხილული არქიტექტურის სამსახურის პოზიციის ჩამოყალიბების შემდეგ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: –5, არ არის მისაღები.

წინააღმდეგი: –დ. გოგიჩაიშვილი –მისაღებია, ნ. ჩხაიძე – არ არის მისაღები.

15. თ. კოსტავას ინფორმაცია ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გოგებაშვილის ქ. №46ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებარე საცხოვრებელი სახლისათვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ამხანაგობა „გოგებაშვილის" თავჯდომარე გ. შავგულიძე.
არსებული პარამეტრები – კ1=0.8, კ2=1.8.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0.8, კ2=4.45.

- <u>სამსახურის პოზიცია:</u> წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე, არსებული მდგომარეობით საპროექტო შენობა 6–სართულიანია, რაც სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნასთან. სიმჭიდროვის ზრდა მოცემულ ტერიტორიაზე არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. გასათვალისწინებელია „ძეგლთა დაცვის" დასკვნა.

აზრი გამოთქვეს:

- მაკა შავიშვილმა: არ არის მიდაღები. მშენებლობა ისედაც დიდი დარღვევებით განხორციელდა. მისი დაკანონება, ვფიქრობ, კიდევ ერთ ცუდ პერცედენტს შექმნის ისედაც გადატვირთული ვერის უბნისათვის.
- ირაკლი მურღულიამ: არ არის მისაღები.
- არისი ბოჭოიძემ: მისაღებია. შენობას უნდა მიენიჭოს შეუსაბამო შენობა–ნაგებობის სტატუსი.
- ნიკოლოზ ჩხაიძემ: მისაღებია იმ შემთხვევაში თუ არსებობს აშენებული შენობა.

• მანუჩარ მახათაძემ: ვინაიდან შენობა აშენებულია და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შენობა ორჯერ დაინგრა და დამკვეთმა მაინც მოახერხა შვიდი სართული აშენება – „პირდაპირ გასაოცებელია ეს ფაქტი"– მიენიჭოს შეუსაბამო შენობის სტატუსი და მომავალში თუ იქნა დანგევის შანსი დაინგრეს მისი სამი სართული. რაც მთავარია დაჯარიმდეს კიდევ ერთხელ.

• დავით მახარობლიშვილმა: იმის გამო, რომ შენობა აშენებულია და გარკვეული პირობების გამო მისი დანგრევა არაკორექტულია, მშენებლები უნდა დაჯარიმდნენ, ხოლო კოეფიციენტი მოემეტოს დადგენილი წესის მიხედვით.

• ბერდია გველებიანმა: მისაღებია.

• მიხეილ ავალიანმა: მისაღებია. ვინაიდან შენობა უკვე აშენებულია, მიზანშეწონილად მიმაჩნია კ2–ის გაზრდა. სამსახურმა პროექტი უნდა შეითანხმოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯარიმის გადახდის შემდეგ.

